ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 161

“ 8 ” მაისი 2017 წ.

ქ. თბილისი

2016 წლის 19 აპრილს შპს ,,ალმა ტრანსპორტსა” (ს/კ: 405142821) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №160405188) გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ალმა“-ს (ს/კ: 204873388) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივითვი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ვ” ქვეპუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ” №19-78 დადგენილების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ,,2016 წლის 19 აპრილს შპს ,,ალმა ტრანსპორტსა” (ს/კ: 405142821) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №160405188) გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო დაკისრებული/ დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ალმა“-ს (ს/კ: 204873388) გათავისუფლების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №15.13.292 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმა ტრანსპორტს“ (ს/კ: 405142821) შორის 2016 წლის 19 აპრილს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №160405188) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის 2.1.1, 2.1.3 და 2.1.9 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.6 და 3.7 პუნქტების შესაბამისად, 2017 წლის 18 აპრილიდან - 2017 წლის 18 ოქტომბრამდე, დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან შპს „ალმა“-ს (ს/კ: 204873388) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**